სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №437.03.16

ქ. თბილისი 12 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"** (შემდგომში – *„შემსყიდველი"*), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი პაპავას სახით,

და მეორე მხრივ, **შპს „მათემოტორსი"** (შემდეგ – *„მიმწოდებელი"*), წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ გელავას სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს *მიმწოდებლის* მიერ *შემსყიდველის* მოთხოვნის საფუძველზე *შემსყიდველის* კუთვნილი 5 (ხუთი) ერთეული ავტომანქანა **Mitsubishi L-200**-სათვის **სათადარიგო** ნაწილების მიწოდება (შემდგომში – „საქონელი") და/ან მომსახურების გაწევა (შემდგომში – **„მომსახურება")** (CPV50100000).

1.2. **წინამდებარე ხელშეკრულებით** გათვალისწინებული საქონლის სახეობების, მომსახურების ჩამონათვალი და განფასება მოცემულია ხელშეკრულების დანართ №1-ში.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. *მიმწოდებელი* ვალდებულია:

2.1.1. სრულყოფილად და დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

2.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საქონლის მიწოდება** და/ან მომსახურების გაწევა **განახორციელოს 2016 წლის 30 დეკემბრის** ჩათვლით;

2.1.3. ხელშეკრულებით **გათვალისწინებული** საქონლის **მიწოდების** და/ან **მომსახურების** გაწევის **შემდეგ, *შემსყიდველის*** მიერ ნაკლის ან ხარვეზის **აღმოჩენის** შემთხვევაში, **უზრუნველყოს** მისი **აღმოფხვრა** საკუთარი **ხარჯით;**

2.1.4. მკაცრად დაიცვას **წინამდებარე** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

2.2. *მიმწოდებელს* უფლება აქვს მოსთხოვოს *შემსყიდველს* წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის და/ან მომსახურების ღირებულების გადახდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.3. *შემსყიდველი* ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის და/ან მომსახურების ღირებულების გადახდა.

2.4. *შემსყიდველს* უფლება აქვს *მიმწოდებლის* მიერ მიწოდებული საქონლის და/ან მომსახურების უხარისხობის აღმოჩენის შემთხვევაში, მოსთხოვოს მას აღმოჩენილი ხარვეზის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის და მათი მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიწოდება და/ან მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა წარმოებს *შემსყიდველის* მიერ *მიმწოდებლისთვის* ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება მისაწოდებელი საქონლის და/ან მასთან დაკავშირებული მომსახურების მოცულობა. ამ პუნქტში მითითებული მოთხოვნა შესაძლებელია წარდგენილ იქნას როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისა და/ან მომსახურების გაწევის ვადაა მოთხოვნის წარდგენიდან 1 (ერთი) სამუშაო დღე.

3.3. მიწოდებულ საქონელზე და/ან მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მიწოდებული საქონლის და/ან გაწეული მომსახურების დეტალური აღწერა და საერთო ღირებულება. მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად უნდა იქნას გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა.

3.4. საქონლის და/ან მომსახურების მიღებას წარმოებს *შემსყიდველის* უფლებამოსილი წარმომადგენელი.

3.5. საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევ ს ადგილია მიმწოდებლის სერვისცენტრი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჩათვლით.

4.2. საქონლის და/ან მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, საქონლის და/ან მომსახურების სახეობისა და რაოდენობის მიხედვით, ხელშეკრულების დანართი №1-ში გათვალისწინებული ფასების შესაბამისად, რაც აისახება შესაბამის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში. დანართებში ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

4.3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, *შემსყიდველის* მიერ *მიმწოდებლის* საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება საქონლის მიწოდებიდან (მომსახურების გაწევიდან) და სათანადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.5. *მიმწოდებელი* უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირობების შესაბამისად, მოახდინოს ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული საქონლის ფასის ცვლილება, რის შესახებაც იგი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს *შემსყიდველს* 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე. აღნიშნულის თობაზე მხარეთა შორის გაფორმდება დამატებითი შეთანხმება. ამასთან, საქონლის ფასის ცვლილება არ შეიძლება შეეხოს შეტყობინებამდე *შემსყიდველის* მიერ *მიმწოდებლისთვის* უკვე წარდგენილი შეკვეთის ფასებს.

4.6. საქონლის ფასი მოიცავს საქონლის ღირებულებ ს, რომელიც განბაჟებულია მიწოდების მომენტისათვის და თავისუფალია ყველა სხვა გადასახადისაგან.

მუხლი 5. საქონლის ხარისხი და გარანტიები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული საქონლის და გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5.2. *მიმწოდებელი* იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და მომსახურებას არ გააჩნია ისეთი ნაკლი, რისი არსებობაც შეამცირებდა საქონლის ღირებულებას ან ხელს შეუშლიდა მის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს აღმოაჩნდება უფლებრივი და/ან ნივთობრივი ნაკლი იმ გარემოებათა გამო, რაზედაც პასუხისმგებელია *მიმწოდებელი* და/ან *მიმწოდებელი* დააყოვნებს ნაკლის გამოსწორებას და/ან საქონლის შეცვლას, *შემსყიდველი* უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის სრულად ანაზღაურება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. *მიმწოდებლის* მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს *შემსყიდველის* მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6.2. *შემსყიდველი* უფლებამოსილია, საქონლის მიწოდების და/ან მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებამდე ჩაატაროს ინსპექტირება, საქონლის და/ან მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

6.3. ინსპექტირებისას გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება *მიმწოდებელს*.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7.2. *მიმწოდებლის* მიერ საქონლის მიწოდების და/ან მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, *შემსყიდველი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის და/ან მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. *შემსყიდველის* მიერ მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, *მიმწოდებელი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება შეიძლება მხოლოდ წერილობითი ფორმით, რაც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით და დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

8.2. ხელშეკრულების ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას და დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს იყო გამოწვეული რაიმე გადაულახავი მიზეზებით, კერძოდ, ისეთით როგორცაა: დივერსია, ეპიდემია, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, გრიგალი, ომი, რევოლუცია, სახელმწიფო ან სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო მღელვარეობანი, ბლოკადა ან ემბარგო, გაფიცვა, პიკეტირება, ბოიკოტი ან მსგავსი სხვა ისეთი მოვლენები, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნან ფორს-მაჟორული გარემოების მქონედ, მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების მთელი დროის მანძილზე.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარემ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ და ყოველგვარ ძალისხმევას უნდა მიმართოს მსგავსი გარემოებების თავიდან ასაცილებლად, მისი ხანგრძლივობისა და შედეგების მინიმუმამდე დასაყვანად და ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუყოვნებლივ განაახლოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. *შემსყიდველი* უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ *მიმწოდებლის* მიერ მოწოდებული საქონლის და/ან გაწეული მომსახურების ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებითა და მხარეთა მიერ დადგენილ პირობებს, რა დროსაც მას უფლება აქვს მოითხოვოს უხარისხო საქონლის მოწოდების (მომსახურების გაწევის) შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

10.3. *მიმწოდებელი* უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ *შემსყიდველი* სისტემატურად არღვევს საქონლის და/ან მომსახურების ღირებულების ანაზღაურების პირობებს, რა დროსაც მას უფლება აქვს მოითხოვოს ღირებულების გადაუხდელობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

10.4. მხარეები უფლებამოსილნი არიანი ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე შეწყვიტონ ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ კონტრაჰენტს 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე და მიუთითოს ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

„შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი და ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ყველა დამატება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ურთიერთობებზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"	**შპს „მათემოტორსი"**
მის.: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21	მის. იურიდიული: თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო №6 მის. ფაქტობრივი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.
საიდ. კოდი: 206 103 722 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"	საიდ. კოდი: 204 470 063 საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რესპუბლიკა"
ს/ა GE15BG0000000175520100 **ბანკის კოდი: BAGAGE22**	ს/ა № GE53BR0000010977968548 **ბანკის კოდი: REPLGE22**
--- გიორგი პაპავა გენერალური დირექტორის მოადგილე	--- ალთანდილ გელაშვილი დირექტორი

დანართი #1

#	სათადარიგო ნაწილების დასახელებას ღირებულება	ერთ. ფასი	ერთ. მომსახურების ფასი	გარბენი 1 000 (კმ)	გარბენი 10 000 (კმ)	გარბენი 20 000 (კმ)	გარბენი 30 000 (კმ)	გარბენი 40 000 (კმ)	გარბენი 50 000 (კმ)	გარბენი 60 000 (კმ)	გარბენი 70 000 (კმ)	გარბენი 80 000 (კმ)	გარბენი 90 000 (კმ)	გარბენი 10 000 (კმ)
1	ზრავის ზეთის ღირებულება	130	0	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
2	ზეთის ფილტრის ღირებულება	25	0	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
3	ჰაერის ფილტრის ღირებულება	25	0			*		*		*		*		*
4	წინა სამუხრუჭე ხუნდის ღირებულება	170	15					*				*		
5	უკანა სამუხრუჭე ხუნდის ღირებულება	0	0											
6	კონდიციონერის ფილტრის ღირებულება	55	10					*				*		
7	ანთების სანთლის ღირებულება	50	35					*				*		
8	ძრავის ღვედის ღირებულება	500	200									*		

შემსყიდველი
შპს „საქართველოს გაბის ტრანსპორტიორების კომპანია"

_____
გიორგი პაპავა
გენერალური დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი
შპს „მათემოტორსი"

_____
ავთანდილ გელავა
დირექტორი